ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენების მონიტორინგი

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები და პლებისციტი

5 დეკემბერი, 2007 წ. **თბილისი, საქართველო**

2008 წლის 5 იანვარს დაგეგმილი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისა და პლებისციტის სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოს მომავალი. ამ არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქვეყნის შიგნით – არჩევნებში გამარჯვებული ძალის ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხის და ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფის კუთხით, ასევე მის გარეთ – ქვეყნის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების, მათ შორის, ევროპული და ევრო-ატლანტიკური სტრუქტურების, დამოკიდებულების განსაზღვრის კუთხით.

საარჩევნო პროცესი არ იწყება და არ სრულდება საარჩევნო დღით. არჩევნების დღე ამ პროცესის მხოლოდ შუა რგოლია, როდესაც ამომრჩეველი აფიქსირებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მან არჩევნებს შორის და წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტების დაკვირვების შედეგად უნდა მიიღოს. არჩევნების დღეს არჩევანის გაკეთების შემდეგ კი ამომრჩეველმა ბოლომდე უნდა დაიცვას მის მიერ მიცემული ხმა და კენჭისყრის ან ხმების დათვლის პროცედურების დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში შესაბამის კომისიაში ან სასამართლოში გაასაჩივროს ის. შესაბამისად, არჩევნების ჩატარების კანონიერება და დემოკრატიულობა ფასდება არა მხოლოდ არჩევნების დღის, არამედ მთლიანი საარჩევნო პროცესის გათვალისწინებით. ამ შეფასებაში წინასაარჩევნო პერიოდს და, კერძოდ, საარჩევნო სუბიექტებისთვის თანაბარი კონკურენციის პირობების არსებობას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ პროექტი „2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დროს ადმინისტრაციული რესურსის წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენების მონიტორინგი“ წინასაარჩევნო პერიოდში იმ ტიპის დარღვევებისა და ხარვეზების გამოვლენას ისახავს მიზნად, რომლებიც არათანაბარ პირობებში აყენებს საარჩევნო სუბიექტებს და, შესაბამისად, პრობლემებს უქმნის არჩევნების სამართლიანად და ობიექტურად ჩატარებას და, საბოლოო ჯამში, – ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ რესურსებზე ხელი, როგორც წესი, მმართველ პარტიას მიუწვდება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მონიტორინგი აქცენტს სწორედ მმართველი პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტზე, მიხეილ სააკაშვილზე აკეთებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენება ყოველთვის კანონის დარღვევასთან არ არის კავშირში. წინასწარ დაუგეგმავი ამბიციური პროექტების არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე წამოწყება არ არღვევს კანონის მოთხოვნებს, თუმცა აშკარა მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია მმართველ პარტიას ან მის კანდიდატს საბიუჯეტო რესურსის წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენება. შესაბამისად, ამ პრობლემის მონიტორინგის დროს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ შეფასების კრიტერიუმად იღებს არა კანონის დარღვევას, არამედ იმას, თუ რამდენად თანაბარ პირობებში უწევთ სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტებს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მონიტორინგის განხორციელება 2007 წლის 8 ნოემბრიდან, ანუ იმ დღიდან დაიწყო, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა საჯარო განცხადება

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.

რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების, სავარაუდოდ, 2008 წლის 5 იანვარს გამართვის შესახებ, ვინაიდან წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებას პოლიტიკური პარტიების ნაწილი სწორედ ამ დღიდან შეუდგა. მონიტორინგი მოიცავს ადმინისტრაციული რესურსების ხუთივე ძირითად ტიპს: მედია რესურსებს, ფინანსურ რესურსებს, სამართლებრივ რესურსებს, ინსტიტუციონალურ რესურსებს და ე.წ. ხისტ რესურსებს.

წარმოდგენილ ანგარიშში აღწერილია წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას ხუთივე ჩამოთვლილი რესურსის არამიზნობრივი გამოყენების ძირითადი შემთხვევები 8 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე. მომავალში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ პერიოდულად გამოაქვეყნებს მსგავს ანგარიშებს, რომლებშიც მოცემული იქნება ინფორმაცია მომდევნო საანგარიშო პერიოდებში გამოკვეთილი ხარვეზების შესახებ.

მედია რესურსები

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული და კერძო მედია საშუალებების მიერ კონკრეტული პოლიტიკური ძალის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება, მედია სივრცის არათანაბარი განაწილება საარჩევნო სუბიექტებს შორის, წინასაარჩევნო კამპანიების მიკერძოებული გაშუქება

<u>საგანგებო რეჟიმი და შეხვედრები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან</u>

რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების სავარაუდო თარიღი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2007 წლის 8 ნოემბერს დაასახელა. ამ დროს ქვეყანაში ჯერ კიდევ მოქმედებდა საგანგებო რეჟიმი და შესაბამისად, პრეზიდენტის დეკრეტით მედია საშუალებებს ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების უფლება შეზღუდული ჰქონდათ. ერთადერთი ტელევიზია, რომელიც ამ უფლებას ინარჩუნებდა, საზოგადოებრივი ტელევიზია იყო. შესაბამისად, ამ პერიოდში ოპოზიციურ პარტიებს არ ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის სატელევიზიო ეთერი გამოეყენებინათ. ამავე პერიოდში საზოგადოებრივი ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა მაშინდელი პრეზიდენტის და ამჟამად პრეზიდენტობის კანდიდატობის ერთ-ერთი პრეტენდენტის შეხვედრები ბიზნესმენებთან, მევენახეებთან, პედაგოგებთან და მედიკოსებთან. თითოეული ეს შეხვედრა მინიმუმ თითო საათი გრძელდებოდა და საზოგადოებრივი ტელევიზია მათ სრულად გადასცემდა.

ამ შეხვედრების დროს პრეზიდენტი შეხვედრების მონაწილეებს ესაუბრებოდა ნოემბრის აქციების შესახებ და ოპოზიციური პარტიების ზოგიერთ წარმომადგენელს (მათ შორის, ამჟამინდელ პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტებსაც) რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირში და ქვეყანაში არეულობის ორგანიზების მცდელობაში ადანაშაულებდა; განიხილავდა სხვადასხვა სფეროებში განხორციელებულ რეფორმებს და სამომავლო გეგმებს; შეხვედრების მონაწილეებს სთხოვდა დაესახელებინათ, თუ რა პრობლემები აწუხებდათ მათ ყველაზე მეტად და ზოგიერთ მათგანს ამ შეხვედრებზევე ჰპირდებოდა დასახელებული პრობლემების დაუყოვნებლივ მოგვარებას, მათ შორის, სხვადასხვა კანონებში შესწორებების შეტანას უახლოეს სესიებზე, საერთაშორისო კონფერენციების დაფინანსებას, სხვადასხვა სახის საჭირო აპარატურისა და დანადგარების შეძენას და ა.შ.

<u>პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ წაყენებული დაუდასტურებელი ბრალდებების გაშუქება მედიაში</u>

ხუთმა სატელევიზიო არხმა – საზოგადოებრივი მაუწყებლობა, „რუსთავი 2“, „მზე“, “აჭარა” და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არხი „საქართველო“ – აჩვენა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი, რომელშიც აღნიშნული სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელი პირები და სხვა წარმომადგენლები ზოგიერთ ოპოზიციონერ პოლიტიკოსს (მათ შორის, ამჟამინდელ პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტებს) ბრალს სდებდნენ რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში, კრიმინალური დაჯგუფებების შექმნასა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის ინსპირირებაში. ამ ბრალდებებს ფილმში თავად გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ახმოვანებდა მიუხედავად იმისა, რომ ფილმის მომზადებისა და მისი ეთერში გასვლის პერიოდში ფილმში ნაჩვენები არც ერთი

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.

ბრალდება სასამართლოს მიერ განხილული და დადასტურებული არ ყოფილა (ეს ბრალდებები დღევანდელი მდგომარეობითაც ღია რჩება).

ვრცელი პირდაპირი ჩართვები საგანგებო რეჟიმის დასრულების შემდეგ

23 ნოემბერს რამდენიმე ცენტრალურმა სატელევიზიო არხმა პირდაპირ ეთერში სრულად გადასცა სპორტის სასახლეში გამართული „ნაციონალური მოძრაობის" პარტიული ყრილობა, რომელზეც პრეზიდენტი და მმართველი პარტიის ლიდერი (ამჟამად პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტი) ვრცელი სიტყვით გამოვიდა და დამსწრე საზოგადოებას "ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერისკენ მოუწოდა. ამ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა და სხვა გამომსვლელებმა რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ სპორტის სასახლეში გამართული ღონისძიება მმართველი პარტიის ყრილობა იყო. მეორე დღეს პარტიული ყრილობა გამართა პარტია „ახალმა მემარჯვენეებმაც", სადაც სიტყვით გამოვიდა პარტიის ლიდერი და ასევე პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტი დავით გამყრელიძე, თუმცა ეს ყრილობა პირდაპირ ეთერში არცერთ ტელევიზიას არ გაუშუქებია.

27 ნოემბერს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში მიმდინარე კონცერტის ბოლოს (კონცერტი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში არ ტარდებოდა) უკვე გადამდგარმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით მიმართა დარბაზში მყოფ მაყურებელს. „რუსთავი 2"-მა ამ გამოსვლის დროს საინფორმაციო გამოშვება გაწყვიტა და პრეზიდენტის სიტყვა პირდაპირ ეთერში სრულად აჩვენა.

ასევე პირდაპირ ეთერში და სრულად გადაიცა გადამდგარი პრეზიდენტის შეხვედრა იძულებით გადაადგილებულ პირებთან, რომელიც გაიმართა 28 ნოემბერს თბილისის მერიის შენობაში. ტელევიზიებმა ვრცლად გააშუქეს პრეზიდენტის შეხვედრები სპორტსმენებთან და ომის ვეტერანებთანაც. პრეზიდენტობის კანდიდატობის სხვა პრეტენდენტების შეხვედრები ამომრჩევლებთან პირდაპირ ეთერში ან მათი სრული ჩანაწერები ტელევიზიებს არ უჩვენებიათ.

მედია საშუალებების შეუზღუდავი საქმიანობა

წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მედია საშუალებების თავისუფალ რეჟიმში საქმიანობას და მათ თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის.

ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საგანგებო რეჟიმის გაუქმების შემდეგ აღდგა მედია საშუალებების უმეტესი ნაწილის შეუზღუდავი მუშაობა, თუმცა, ბოლო დღეებამდე პრობლემად რჩებოდა ყველაზე რეიტინგული დამოუკიდებელი ტელევიზიის – „იმედის" და დამოუკიდებელი რადიოს – „იმედის" ეთერში გასვლის საკითხი. ამ პრობლემის გადაჭრა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ხელისუფლების მაღალი პირების აქტიური ჩარევის შედეგად გახდა შესაძლებელი. დღეისათვის ცნობილია, რომ "იმედი" მაუწყებლობას ორ დღეში აღადგენს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" იზიარებს იმ პოზიციას, რომ ჟურნალისტები პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს და არ უნდა ავრცელებდნენ გადაუმოწმებელ და დამახინჯებულ ინფორმაციას (ეს პასუხისმგელობა, ბუნებრივია, ყველა მედია საშუალებას და ჟურნალისტს ერთნაირად ეხება). თუმცა ორგანიზაცია ასევე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას ეკისრება კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა, რომ არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც სიტყვის და მედიის თავისუფლების შეზღუდვად (მითუმეტეს – წინასაარჩევნო პერიოდში) შეიძლება იქნას აღქმული.

მედიასთან მიმართებაში აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც დამოუკიდებელ ტელესტუდია „მაესტროს" უკავშირდება. 29 ნოემბერს შემეცნებითი გადაცემა „პროფესია ჟურნალისტის" დაწყებისთანავე „მაესტროს" ეთერი გაითიშა. შემეცნებითი გადაცემა ამ ტელესტუდიის ახალი პროექტი იყო. პროექტის ფარგლებში „მაესტრო" გეგმავდა დისკუსიების გამართვას ისეთ თემებზე, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება და მისი მნიშვნელობა, კონსტიტუციური წყობის განსხვავებული (საპრეზიდენტო და საპარლამენტო) ტიპები და მათ შორის ძირითადი განსხვავებები, წინასაარჩევნო და არჩევნების დღის პროცედურები, ამომრჩეველთა უფლებები და ა.შ. როგორც სტუდიის ხელმძღვანელმა მამუკა ღლონტმა განაცხადა, გადაცემების ციკლის დაწყებამდე მას დაურეკეს და

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.

ურჩიეს, რომ ეს გადაცემები ეთერში არ გასულიყო, თუმცა მან ეს „რჩევა“ არ გაიზიარა. შედეგად, პირველი გადაცემის დაწყებისთანავე გაითიშა ის სიხშირე, რომლის საშუალებითაც გადაცემა ეთერში უნდა გასულიყო. „მაესტროს“ მაუწყებლობა მეორე დღესვე აღდგა და გადაცემა „პროფესია ჟურნალისტი“ დღეს ეთერში გადის, თუმცა ტელესტუდიის ხელმძღვანელობა პირველი ეთერის გათიშვას, განხორციელებული სატელეფონო ზარებიდან გამომდინარე, ტექნიკურ პრობლემებს არ უკავშირებს.

საბიუჯეტო რესურსები

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო რესურსების მიმართვა ერთი კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეწყობისთვის (წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლებისთვის ფულადი პრემიების და სხვა სახის საჩუქრების დარიგება, საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას სოციალური დახმარებებისა თუ ხელფასებისა და პენსიების წინასწარ დაუგეგმავი მატება, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე საჯარო დებატებისა და სათანადო ანალიზის ჩატარების გარეშე ამბიციური სოციალური პროექტების წამოწყება და ა.შ.)

ბოლო პერიოდში, საბიუჯეტო წლის დასრულებამდე ორი თვით ადრე, პრეზიდენტის ინიციატივით ხელისუფლებამ წამოიწყო არაერთი სოციალური პროექტი, რომელთა განხორციელებაც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით საზოგადოების სხვადასხვა ფენებისთვის სოციალური დახმარების გაწევა ყოველთვის დროულია, თუმცა, ბოლო კვირების განმავლობაში ინიცირებულ გადაწყვეტილებათა ნაწილს რამდენიმე თვით ადრე ხელისუფლება შეუძლებლად თვლიდა და რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა, ხოლო მეორე ნაწილი არათუ 2007 წლის ბიუჯეტში, არამედ 2008 წლის ბიუჯეტის პროექტშიც არ იყო იყო გათვალისწინებული (ეს პროექტი პარლამენტში 2007 წლის 30 სექტემბერს შევიდა). ამიტომ ეს გადაწყვეტილებები უფრო წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად აღიქმება, ვიდრე ხელისუფლების თანმიმდევრული და გრძელვადიანი სოციალური პოლიტიკის შემადგენელ კომპონენტად.

2005 წელს ხელისუფლებამ დაიწყო სოციალური სისტემის რეფორმის განხორციელება, რომლის თანახმადაც სოციალური დახმარებების გაცემის საფუძვლად აღებული იქნა არა დახმარების მიღების მსურველთა სხვადასხვა კატეგორიისადმი (მაგალითად, მრავალშვილიანი დედების, ომის ვეტერანების, მარტოხელა დედების და ა.შ.) მიკუთვნებულობა, როგორც ეს ადრე, რეფორმის განხორციელებამდე იყო, არამედ ოჯახის საერთო შემოსავალი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ეს რეფორმა დადებითად შეაფასა, ვინაიდან დახმარებების გადანაწილება უფრო სამართლიანად, რეალური საჭიროების გათვალისწინებით მოხდა. ძველი სისტემით შესაძლებელი იყო, რომ დახმარება მიეღო ომის ვეტერანს, რომლისთვისაც ეს დახმარება, მისი ოჯახის სხვა წევრების შემოსავლიდან გამომდინარე, სრულებითაც არ იყო სასიცოცხლო მნიშვნელობის, თუმცა, დახმარების მიღმა რჩებოდნენ რეალურად გაჭირვებული ოჯახები, რომელთაც არ ჰყავდათ არცერთი ისეთი წევრი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე კატეგორიას მიეკუთვნებოდა. თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ იმ ფაქტსაც უსვამდა ხაზს, რომ გარკვეული სოციალური ჯგუფებისთვის (მათ შორის, ომის ვეტერანებისთვის) სახელმწიფოს დახმარებას უფრო მათი დამსახურების აღიარების დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე სოციალური პრობლემების მოგვარებაში ხელშეწყობისა. მიუხედავად ამისა, 2005-2006 წელს ხელისუფლებას ეკავა მკაცრი პოზიცია, რომ შეზღუდული საბიუჯეტო სახსრები ყველაზე გაჭირვებულ ფენებზე გადანაწილებულიყო და მაქსიმალურად შეზღუდულიყო სახელმწიფო სახსრების დახარჯვა იმ პირებზე, რომელთაც ამის რეალური საჭიროება არ ჰქონდათ.

ამ პოლიტიკისგან მკვეთრად განსხვავდება ხელისუფლების მიერ ბოლო კვირების განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც პენსიონერებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, უსინათლოთათვის და პედაგოგებისთვის ვაუჩერების, ტრანსპორტზე შეღავათებისა და სხვა სახის დახმარებების გაწევას შეეხება.

<u>ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის შეშის ვაუჩერები და ფქვილი რეგიონებში მცხოვრები ოჯახებისთვის</u>

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.

ყოფილი პრეზიდენტის და ამჟამად პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტის, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით 2007 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეებში მთელ საქართველოში:

- ყველა ოჯახს (გარდა თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში მცხოვრები ოჯახებისა) დაურიგდა ან ურიგდება 5 კუბური მეტრი სათბობი შეშით სარგებლობის ერთჯერადი ვაუჩერი[1] (სულ 900 000-მდე ოჯახი), რომლით სარგებლობაც 2012 წლამდეა შესაძლებელი;
- რეგიონებში მცხოვრებ ყველა ოჯახს (გარდა რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში მცხოვრები ოჯახებისა) „საპრეზიდენტო სუბსიდიის" პროგრამის ფარგლებში უსასყიდლოდ დაურიგდა 50 კილოგრამი ფქვილი;
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პირებს, პენსიონერებს და პედაგოგებს დაურიგდათ ან ურიგდებათ 50-ლარიანი ელექტროენერგიის ვაუჩერი (სულ პროგრამაში მონაწილეობას იღებს დაახლოებით 70 000 პედაგოგი, 400 000 სოციალურად დაუცველი პირი და 850 000 პენსიონერი);
- ქალაქებში მცხოვრებ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პირებს, პენსიონერებს და პედაგოგებს დაურიგდათ ან ურიგდებათ 50-ლარიანი ბუნებრივი აირის ვაუჩერები;
- თბილისში მცხოვრებ პენსიონერებს (დაახლოებით 200 000 ადამიანს) დაურიგდათ ან ურიგდებათ მედიკამენტებით უზრუნველყოფის 20-ლარიანი ვაუჩერი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, დავით ტყეშელაშვილის განცხადებით, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ვაუჩერებით ისარგებლებს ოჯახის ყველა წევრი, რომელიც აღნიშნული კატეგორიებიდან ერთ-ერთს მაინც მიეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთმა ოჯახმა, შესაძლოა, რამდენიმე ერთი და იმავე სახის ვაუჩერი მიიღოს.

აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის ვაუჩერზე მითითებულია „პრეზიდენტის სუბსიდია", ხოლო სათბობი შეშის ვაუჩერზე – „პრეზიდენტის საჩუქარი", რასაც ხელისუფლების წარმომადგენლები იმით ხსნიან, რომ ვაუჩერების პროგრამა პრეზიდენტის ფონდიდან ფინანსდება, თუმცა პრეზიდენტის ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტის ისეთივე ნაწილია, როგორც მისი ნებისმიერი სხვა მუხლი.

<u>ხელფასებისა და პენსიების გაზრდა</u>

ყოფილი პრეზიდენტის და ამჟამად პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტის, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით 2007 წლის 1 დეკემბრიდან მინიმალური პენსიების რაოდენობა არსებული 38 ლარიდან 55 ლარამდე, ხოლო 2008 წლის 1 იანვრიდან – 76 ლარამდე გაიზრდება; 1 დეკემბრიდან 200 ლარამდე გაიზრდება პედაგოგების ხელფასებიც[2]; ხოლო მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსების ხელფასები 1 დეკემბრიდან 1600 ლარით განისაზღვრება, ხოლო წევრ-კორესპონდენტების – 1000 ლარით.

გაზრდილი პენსიების დაფინანსების წყარო ამ ეტაპზე არც 2007 წლის დეკემბრის და არც 2008 წლის ბიუჯეტის პროექტში მითითებული არ არის. ამ პროექტის თანახმად, 2008 წლის განმავლობაში სახელმწიფო პენსიების გასაცემად 554,5 მლნ. ლარი გამოიყოფა, რაც 12 თვეზე და 800 ათას პენსიონერზე გადაანგარიშებით თვეში 56 ლარს არ აღემატება (აღსანიშნავია, რომ ეს თანხა გათვალისწინებულია არა მხოლოდ ჩვეულებრივი პენსიების, არამედ ძალოვანი უწყებების პენსიონერების პენსიების, სახელმწიფო კომპენსაციების, სტიპენდიების და წელთა ნამსახურების

[1] შეშის ვაუჩერი რეალურად 15 ლარიან ნებართვას წარმოადგენს - 1 კუბური მეტრი შეშის მოჭრაზე ნებართვა 3 ლარი ჯდება. გაცილებით მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული შეშის მოჭრა და ტრანსპორტირება, თუმცა ეს ხარჯები ვაუჩერში გათვალისწინებული არ არის.

[2] პირველი იანვრიდან საშემოსავლო გადასახადი 12%-დან 25%-მდე გაიზრდება. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგების მინიმალური ხელფასი 200 ლარი გახდება, პედაგოგები ხელზე 150 ლარს აიღებენ.

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.

მიხედვით დაწესებული დანამატების გაცემაზეც). ამავდროულად, საბაზისო გათვლებით, პირველ ეტაპზე პენსიების 55 ლარამდე გაზრდისთვის 2007 წლის დეკემბერში 13,6 მლნ. ლარის, ხოლო 2008 წლიდან – დაახლოებით 269 მლნ. ლარის დამატებით გამოყოფა იქნება საჭირო.

რაც შეეხება პედაგოგების ხელფასებს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში "ვარდების რევოლუციის" შემდგომ ხელფასების, მათ შორის, პედაგოგების ხელფასები რამდენჯერმე გაიზარდა, ხელისუფლებას 2007 წელს ხელფასების მომატება, ბიუჯეტს თუ დავეყრდნობით, გათვალისწინებული არ ჰქონია. პარლამენტში ოქტომბერში წარდგენილ არც 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში და არც 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მსგავსი ინიციატივა ასახული არ ყოფილა. იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოს საჯარო სკოლებში (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით) დაახლოებით 70 ათასი პედაგოგია, თუ თითოეულის შრომის ანაზღაურება საშუალოდ 40-50 ლარით გაიზრდება, თვეში დამატებით 2,8-3,5 მლნ. ლარი, ხოლო წელიწადში 34-42 მილიონი ლარი იქნება საჭირო.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2007 წლის 5 ოქტომბერს თბილისელმა და რეგიონებიდან სპეციალურად ამ მიზნით ჩამოსულმა პედაგოგებმა სახელმწიფო კანცელარიის წინ გამართეს აქცია, რომელზეც ისინი პედაგოგების გაუსაძლის მდგომარეობაზე საუბრობდნენ და სხვა მოთხოვნებთან ერთად, ხელფასების მომატებას და სხვა სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფას ითხოვდნენ. ამ აქციაზე პედაგოგებმა პრეზიდენტთან შეხვედრის სურვილიც გამოთქვეს და შესაბამისი თხოვნით წერილობით მიმართეს პრეზიდენტის ადმინისტრაციას. მაშინ საპროტესტო აქციას სახელმწიფო კანცელარიიდან არავინ გამოხმაურებია. ხელისუფლების მხრიდან უპასუხოდ დარჩა ერთი წლის წინ მასწავლებლების მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით შეგროვებული და გრძლად აკინძული 400-მეტრიანი წერილობითი აპელაციაც, რომელშიც მასწავლებელთა პრობლემები იყო ჩამოწერილი.

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ არჩევნების დანიშვნამდე არც თუ დიდი ხნით ადრე ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი მეცნიერებათა აკადემიას „სტალინურ გადმონაშთს“ უწოდებდა და მისი არსებობის მნიშვნელობას ვერ ხედავდა.

დღეისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში 65 აკადემიკოსი და 64 წევრ-კორესპონდენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის ახალი ინიციატივის განხორციელების შემდეგ აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების ხელფასებისთვის წლიურად დაახლოებით 2,2 მლნ. ლარი იქნება საჭირო. 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მეცნიერებათა აკადემიისთვის მხოლოდ 1 300 000 ლარია გამოყოფილი, რაც იმას ადასტურებს, რომ 2007 წლის სექტემბერში (როდესაც 2008 წლის ბიუჯეტის პროექტი პარლამენტში შევიდა) ხელისუფლებას აკადემიკოსებისა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ხელფასების მატება გადაწყვეტილი არ ჰქონია.

ვინაიდან ამ ნაწილში განხილული ინიციატივების დაფინანსების წყარო 2007 და 2008 წლების ბიუჯეტებში განსაზღვრული არ არის, შესაძლებელია, რომ ხელისუფლება მათ დაფინანსებას პრეზიდენტის და მთავრობის ფონდებიდან ვარაუდობდეს. 2007 წლის ბიუჯეტით ამ ორი ფონდისთვის 50 მლნ. ლარია გამოყოფილი. აქედან 10 თვის მდგომარეობით უკვე დახარჯულია დაახლოებით 21 მლნ. ლარი, შესაბამისად, დარჩენილია 29 მლნ. ლარი.

იმის გათვალისწინებით, რომ პენსიების გაზრდისთვის დეკემბერში საჭიროა დაახლოებით 14 მლნ. ლარი, დასაქმების პროგრამისთვის (თუ მისი პირველი ეტაპის დაფინანსება დეკემბერში დაიწყება) – 20 მლნ. ლარი, პედაგოგების ხელფასების მომატებისთვის – დაახლოებით 3 მლნ. ლარი, ხოლო მათი სამედიცინო დაზღვევისთვის – 700 000-მდე ლარი, მხოლოდ ამ ინიციატივების დაფინანსებისთვის ხელისუფლებას დეკემბრის თვეში 37,7 მლნ. ლარი ესაჭიროება.

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალი პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, სექტემბერში წარდგენილი 2008 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა დროებით შეჩერდა. განხილვის შეჩერება პრემიერ-მინისტრმა იმ არგუმენტით მოითხოვა, რომ პრეზიდენტის პრიორიტეტების გათვალისწინება უნდა მომხდარიყო. შესაძლებელია, რომ ყოფილი პრეზიდენტის ახალი ინიციატივები პროექტის შესწორებულ ვარიანტში ჩაიდოს. ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ, როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, მომავალი წლის ბიუჯეტი „ხალხისკენ შემობრუნებული“ იქნება.

შეღავათები ტრანსპორტზე

20 ნოემბერს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი (ამჟამად პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტი) უსინათლოებსა და ომის ვეტერანებს შეხვდა და ამ შეხვედრაზევე საკრებულოს დაავალა, დაუყოვნებლივ განეხილა ინიციატივა უსინათლოებისა და ვეტერანებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის უფასოდ სარგებლობის დაწესების შესახებ.

ვეტერანებისა და უსინათლოებისთვის სატრანსპორტო შეღავათები ხელისუფლების გადაწყვეტილებით 2007 წლის ზაფხულში გაუქმდა. ამის მიზეზი საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული ე.წ. „შეღავათების მონეტიზაციის პროგრამა“ გახდა (ამ პროგრამისთვის 2008 წლის ბიუჯეტის პროექტში 26,4 მლნ. ლარი არის გათვალისწინებული). ამ და სხვა შეღავათების გაუქმებას ვეტერანებმა მაშინ თბილისის მერიის შენობის წინ საპროტესტო აქციების გამართვით უპასუხეს, თუმცა იმ პერიოდში მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა.

ამჟამად სატრანსპორტო შეღავათები 3 400 ვეტერანსა და 370-მდე უსინათლოს შეეხება.

დასაქმების პროგრამა

ყოფილი პრეზიდენტისა და ამჟამად პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტის ინიციატივით 2007 წლის დეკემბერში ხელისუფლება იწყებს ახალი დასაქმების პროგრამის განხორციელებას, რომლის თანახმადაც 100 000-მდე მოქალაქეს მიეცემა საშუალება, სამთვიანი სტაჟირება გაიაროს ბიზნესკომპანიებში. ამისთვის დეკემბრის პირველ ნახევარში 25-დან 65 წლამდე ასაკის მოქალაქეებმა განაცხადით უნდა მიმართონ დასაქმების ცენტრს. მთავრობის წარმომადგენლების განცხადებით, 2008 წლის თებერვალში ის მოქალაქეები, რომლებიც სტაჟირების გავლის დამადასტურებელ დოკუმენტს წარადგენენ, ერთჯერადი ჰონორარის სახით 600 ლარს მიიღებენ.

მსგავსი პროგრამა 50 000 მოქალაქისთვის მთავრობამ 2006 წლის ოქტომბერ-დეკემბერშიც განახორციელა. მის განხორციელებას თან ახლდა როგორც კონცეპტუალური, ისე ტექნიკური სახის პრობლემების მთელი რიგი (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ 2007 წლის აპრილში გამოქვეყნებული ანგარიში „უმუშევრობასთან ბრძოლა საქართველოში“). მიუხედავად ამისა, ახალი პროგრამა თითქმის არაფრით განსხვავდება 2006 წელს განხორციელებული პროგრამისგან და მასზე კიდევ რამდენიმე ათეული მილიონი ლარის დახარჯვა იგეგმება მაშინ, როდესაც ინფლაციის მაჩვენებელი 3 დეკემბრის მონაცემებით უკვე აჭარბებს 11%-ს.

2008 წლის დასაქმების პროგრამის განხორციელებისთვის თვეში 20 მლნ. ლარი იქნება საჭირო. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რა წყაროდან უნდა დაფინანსდეს ეს პროგრამა. შესაბამისი ხარჯები არ არის გაწერილი არც 2007 წლის საბიუჯეტო ცვლილებებში და არც 2008 წლის ბიუჯეტის პროექტში. ეკონომიკისა და ჯანდაცვის მინისტრების განმარტებით, პროგრამაზე სულ 60 მილიონი ლარი დაიხარჯება.

სამართლებრივი რესურსები

გადაწყვეტილების მიმღები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების გამოყენება ერთი კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ (კანონმდებლობის შეცვლა – მისი მმართველი პარტიის ან კანდიდატის ინტერესებზე მორგება, საარჩევნო კომისიის წევრებზე გავლენის მოხდენა, კანონმდებლობის არასწორად ინტერპრეტაცია, არჩევნებამდე მოკლე პერიოდით ადრე კანონმდებლობის შეცვლა ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად და ა.შ.)

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.

ქონების ლეგალიზაცია

ნოემბრის მეორე ნახევარში ყოფილი პრეზიდენტის და ამჟამად პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტის, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით პარლამენტში მომზადდა დადგენილების პროექტი, რომელიც კერძო საკუთრების ლეგალიზაციის უზრუნველსაყოფად დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებს. პარლამენტის დადგენილების პროექტის თანახმად, ქონებრივი ამნისტია შეეხება იმ კერძო საკუთრებასაც, რომლის წარმომავლობის კანონიერების შესასწავლად ადმინისტრაციული წარმოება, სისხლის სამართლებრივი გამოძიება ან სასამართლო დავა მიმდინარეობს (გამონაკლისია ის შემთხვევები, როცა ქონების ლეგალიზება სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება). ახალი პროექტის თანახმად, შესაბამისმა ორგანოებმა სამართლებრივი დავები დადგენილების ამოქმედებიდან ერთი კვირის ვადაში უნდა შეწყვიტონ, ხოლო შესაბამისი სარჩელები სასამართლო ორგანოებიდან ერთი თვის ვადაში უნდა გამოითხოვონ.

ხელისუფლების გადაწყვეტილებითვე მესაკუთრეებს დაუკანონდებათ ე.წ. უკანონო ავტო-ფარეხები და ლოჯიები, რომელთა ნაწილიც რამდენიმე თვის წინ ხელისუფლებამ სწორედ უკანონობის არგუმენტით დაანგრია.

ქონების ლეგალიზაციის კანონი პარლამენტმა თავდაპირველად 2007 წლის ზაფხულში მიიღო. კანონის მიღებას წინ უსწრებდა კერძო საკუთრების ჩამორთმევისა და დანგრევის გახშირებული ფაქტები, რომელთა ნაწილი აქტიურად გაშუქდა ცენტრალური და რეგიონული მედია საშუალებებით. ხელისუფლების წარმომადგენელთა განმარტებით, ჩამორთმეული და დანგრეული ქონება მესაკუთრეებს ან შესაბამისი ნებართვების გარეშე ჰქონდათ აშენებული, ან არ ჰქონდათ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, ან მათზე ნებართვები უკანონოდ იყო მიღებული. თავად მესაკუთრეები კი ამტკიცებდნენ, რომ მათ ნებართვებიც ჰქონდათ და არქიტექტურული პროექტებიც, რომლებიც მერიის არქიტექტურის სამსახურებთან იყო შეთანხმებული. ამ ფაქტების შესასწავლად საპარლამენტო ოპოზიციამ საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივაც დააყენა, მაგრამ მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შენობა-ნაგებობები კანონის დაცვით დაინგრა და ამ საკითხზე გამოძიების ჩატარების არავითარი საჭიროება არ არსებობდა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა და მედია საშუალებებმა დიდ პრობლემად აქციეს ერთი ჩვეულებრივი და მარტივი რამ – ხელისუფლება არ აპირებდა უკანონობასთან შეგუებას. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი იყო პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომელიც მან 12 თებერვალს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გააკეთა. პარლამენტის თავმჯდომარემ წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ დანგრეულ შენობა-ნაგებობათა ნაწილი კანონის სრული დაცვით იყო აშენებული და აღნიშნა, რომ მომავალში უკანონოდ მიჩნეული ნაგებობების დანგრევა მკაცრი მონიტორინგის ქვეშ უნდა განხორციელებულიყო.

საპარლამენტო ოპოზიციამ საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივაც დააყენა, მაგრამ მმართველი პარტიისგან უარი მიიღო. კომისიის მაგივრად ოპოზიციას ინტერფრაქციულ ჯგუფში მონაწილეობა შესთავაზეს, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს ჯგუფი დახურულ კარს მიღმა იმუშავებდა და გამოძიების ჩატარების უფლებით არ იქნებოდა აღჭურვილი. მას უნდა ეთანამშრომლა მთავრობასთან და შეემუშავებინა საკანონმდებლო ცვლილებები, რითაც უზრუნველყოფდა საკუთრების უფლებების უკეთ დაცვას. საბოლოო ჯამში, საგამოძიებო კომისიის მაგივრად შეიქმნა ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელსაც დაევალა, შეემუშავებინა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები. საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობის პერიოდში რამდენიმე ოპოზიციონერმა დეპუტატმა გამართა პრესკონფერენცია (14 თებერვალი, 2007 წელი), რომელზეც საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებული ახალი ინიციატივა წარმოადგინა. ისინი ხელისუფლებას „სრული ფინანსური და ქონებრივი ამნისტიის“ და „კერძო არბიტრაჟის“ შემოღებას სთავაზობდნენ. ამ ინიციატივას საპარლამენტო უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა. 2007 წლის ზაფხულში მიღებულ კანონს ქონების ლეგალიზაციის შესახებ პარლამენტმა დაურთო იმ კერძო ქონების საკმაოდ ვრცელი ნუსხა, რომელზეც ლეგალიზება, იმ მიზეზით, რომ ამ ქონებაზე სამართალწარმოება უკვე დაწყებული იყო, არ გავრცელდებოდა.

სალარო აპარატების გაუქმება

19 ნოემბერს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები შეხვდნენ ე.წ. „ელიავას ბაზრობის“ დირექციასა და მოვაჭრეებს, რათა მათთვის 2009 წლამდე სალარო აპარატების გამოყენების

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.

ვალდებულებისგან ინდივიდუალური მოვაჭრეების გათავისუფლების შესახებ პრეზიდენტის ახალი განკარგულება გაეცნოთ და განემარტათ. შესაბამისი კანონპროექტის მომზადება პარლამენტმა ნოემბერის მეორე ნახევარში დაიწყო.

სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება ყველა ტიპის სავაჭრო და მომსახურების ობიექტისთვის პარლამენტმა 2005 წლის 27 დეკემბერს, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებით დაადგინა. ამ მოთხოვნის დარღვევისთვის პარლამენტმა საკმაოდ მკაცრი სანქციები დააწესა, კერძოდ, კოდექსის 139-ე მუხლით განისაზღვრა, რომ სალარო აპარატის გარეშე მუშაობა პირველად აღმოჩენის შემთხვევაში 500 ლარით დაჯარიმდებოდა, განმეორებით შემთხვევაში – 5 000 ლარით, ხოლო კვლავ განმეორების შემთხვევაში – 10 000 ლარით.

ინდივიდუალური მოვაჭრეებისთვის სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულების შემოღებას 2006 წლის გაზაფხულზე მოვაჭრეთა საპროტესტო აქციები მოყვა. მათ პარლამენტის შენობის წინ გამართეს მიტინგი, რომელზეც სალარო აპარატების გაუქმებას (ან მათი დაყენების გადავადებას) და ფიქსირებული გადასახადის დაწესებას მოითხოვდნენ. თბილისის გარდა, საპროტესტო აქციები გაიმართა ბათუმსა და გორშიც. მოვაჭრეებს მხარი ოპოზიციურმა პარტიებმაც დაუჭირეს. ოთხმა დეპუტატმა პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის მოთხოვნით შიმშილობაც დაიწყო. პრემიერ-მინისტრი 2006 წლის 9 მარტს მართლაც შეხვდა დეპუტატებს, თუმცა ამ შეხვედრაზე მან განაცხადა, რომ მთავრობის გადაწყვეტილება სალარო აპარატებთან დაკავშირებით არ შეიცვლებოდა. იმავე დღეებში პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააკრიტიკა ოპოზიციონერი პოლიტიკოსები მოვაჭრეების საპროტესტო აქციების თავიანთი ინტერესებისთვის გამოყენების მცდელობის გამო და მათ "ბაზრის მოვაჭრეები" უწოდა.

<u>იძულებით გადაადგილებულ პირთა დროებითი საცხოვრებლების დაკანონება</u>

30 ნოემბერს პარლამენტმა რიგგარეშე სხდომაზე განიხილა ყოფილი პრეზიდენტის და ამჟამად პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტის, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა დროებითი საცხოვრებელი ადგილების მათთვის უფასოდ და გამარტივებული წესით გადაცემისა და დარეგისტრირების შესახებ. ეს ინიციატივა ყოფილმა პრეზიდენტმა პირველად იძულებით გადაადგილებულ პირებთან 28 ნოემბერს თბილისის მერიის შენობაში გამართულ შეხვედრაზე გაახმოვანა.

არჩევნების გამოცხადებამდე თვეებით ადრე არც თუ ისე იშვიათი იყო შემთხვევები, როდესაც იძულებით გადაადგილებულ პირებს თავიანთი დროებითი საცხოვრებლების დაცლა უწევდათ იმის გამო, რომ სახელმწიფო პრივატიზაციის წესით ასხვისებდა იმ შენობა-ნაგებობებს, რომლებშიც იძულებით გადაადგილებული პირები იყვნენ დროებით განთავსებულნი.

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს (2006 წლის 28 ივნისს) ძალით გამოსახლებული ოჯახები (მათი იძულებით გამოსახლების პროცესში პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმები იღებდნენ მონაწილეობას) პროტესტის ნიშნად აფხაზეთისკენ ფეხით დაიძრნენ, რათა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელებისთვის ეთხოვათ თავშესაფარი. 2007 წლის აპრილში იძულებით გამოასახლეს თბილისის ერთ-ერთ შენობაში მცხოვრები რამდენიმე დევნილი ოჯახი, რომელთაც იმ ღამის ღია ცის ქვეშ გატარება მოუწიათ. ამის გამო მაშინ სახალხო დამცველმა ლტოვილთა და განსახლების მაშინდელი მინისტრი გია ხევიაშვილი დევნილთა პრობლემების მიმართ გულგრილობაში დაადანაშაულა და მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მოითხოვა, თუმცა მინისტრმა მას საპასუხოდ "არაკომპეტენტური" უწოდა და თანამდებობის დატოვება ურჩია.

<u>ამნისტია</u>

პრეზიდენტის ინიციატივით, 16 ნოემბერს პარლამენტში შევიდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულებში ბრალდებული და მსჯავრდებული პირების გათავისუფლებას. დღეისათვის ცნობილია, რომ აღნიშნული ამნისტია საერთო ჯამში შეეხება არაძალადობრივ დანაშაულში მხილებულ 3 000-მდე პირს – მთლიანად

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.

გათავისუფლდება 1 200-მდე პატიმარი და წინასწარ გამოძიებაში მყოფი 1 000-მდე პირი და სასჯელის მოუხდელი ნაწილი გაუნახევრდება 500-მდე პატიმარს. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა განცხადებით, კანონპროექტი ისეთ ფართომასშტაბიან ამნისტიას ითვალისწინებს, რომლის მსგავსიც 1995 წლის შემდეგ არ განხორციელებულა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სახალხო დამცველის და ადამიანის უფლებების დაცვაზე მომუშავე ქართული და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში ყოველთვის ხაზგასმით აღინიშნება საქართველოში საპატიმროების გადატვირთულობის პრობლემა (ზოგიერთ საპატიმროში პატიმრებს მორიგეობით ძილიც უწევთ), გამოცხადებული ამნისტია ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ პრეზიდენტის ეს ინიციატივა გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის მის წინა საჯარო გამოსვლებთან და გადაწყვეტილებებთან. 2006 წლის 14 თებერვალს თავისი წლიური გამოსვლის დროს პრეზიდენტმა პარლამენტში განაცხადა, რომ ის გამოვიდოდა ინიციატივით, გაუქმებულიყო პირობითი სასჯელი წვრილმანი დანაშაულისთვის. „მე ვაცხადებ ნულოვან ტოლერანტობას წვრილმანი დანაშაულისთვისაც კი... ქურდები, მძარცველები, ყველა მათგანი ციხეში უნდა წავიდეს... მათ მიმართ ტოლერანტობა არ უნდა იყოს... ეს ყველამ უნდა გაიგოს, სასამართლომაც და ყველამ“ – განაცხადა მაშინ პრეზიდენტმა.

ინსტიტუციონალური რესურსები

საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარებისთვის სახელისუფლებო სტრუქტურების საოფისე ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, შენობა-ნაგებობების, დაქვემდებარებული საჯარო მოსამსახურეების და სახელმწიფოს თანხებით დაფინანსებული სხვა მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენება

ისევე, როგორც 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, როდესაც იმავე წლის ივნისში საქართველოს საარჩევნო კოდექსში საარჩევნო აგიტაციის მარეგულირებელ მუხლებში შეტანილმა ცვლილებებმა პოლიტიკურ პარტიასა და სახელმწიფო რესურსებს შორის ზღვარის გავლება მნიშვნელოვნად გაართულა, 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისწინა პერიოდშიც ხშირია შემთხვევები, როდესაც აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელი პირები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები თავიანთი თანამდებობრივი მოვალეობების შესრულების პროცესში, თუ მის მიღმა, აქტიურად არიან ჩაბმულები მმართველი პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტის წინასაარჩევნო აგიტაციაში. საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს აგიტაციაში მონაწილეობა არ ეკრძალებათ, თუმცა კანონი ადგენს, რომ ისინი ამ აგიტაციას სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს არ უნდა ეწეოდნენ. მიუხედავად ამისა, მმართველი პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტის, მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო ღონისძიებებში (სამუშაო და არასამუშაო საათებში) აქტიურად მონაწილეობენ ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები, მათ შორის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, მინისტრები, პრეზიდენტის რწმუნებულები და ა.შ.

ზოგიერთი ამ ღონისძიების დროს ყოფილმა პრეზიდენტმა ახალი ინსტრუქციები და მითითებებიც მისცა ხელისუფლების წევრებს. 28 ნოემბერს თბილისის მერიის შენობაში იძულებით გადაადგილებულ პირებთან შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა (ამ დროს ის უკვე გადამდგარი იყო პრეზიდენტის პოსტიდან) ლტოლვილთა და განსახლების ახალ მინისტრს, კობა სუბელიანს დაავალა, რომ გაემართა შეხვედრები იძულებით გადაადგილებულ პირებთან და პირადად გასცნობოდა მათ პრობლემებსა და მოთხოვნებს. ყოფილმა პრეზიდენტმა თქვა, რომ ეს არა ბრძანება, არამედ თხოვნა იყო, თუმცა იქვე დასძინა „ეს არის თხოვნა, მაგრამ ეს არის თხოვნა, რომელიც დავალებაზე მეტია“. ამავე შეხვედრაზე ყოფილმა პრეზიდენტმა გაახმოვანა მეორე თხოვნაც, რომელიც იძულებით გადაადგილებული პირებისთვის დროებითი საცხოვრებელი ადგილის დაკანონებას ეხებოდა. 4 დეკემბერს სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა განათლებისა და მეცნიერების ახალ მინისტრს, მაია მიმინოშვილს წარჩინებული სტუდენტებისთვის განკუთვნილი სტიპენდიები გადასცა და მათი სტუდენტებისთვის დარიგება დაავალა. ეს სტიპენდიები სტუდენტებს მინისტრმა შეხვედრაზევე დაურიგა.

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.

წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში საჯარო მოხელეების აქტიური მონაწილეობის და სხვა სახის ინსტიტუციონალური რესურსების გამოყენების ფაქტები რეგიონებშიც დაფიქსირდა:

პირადი მონაცემების შეგროვება

განსაკუთრებით ხშირია შემთხვევები, როდესაც საჯარო სამსახურების თანამშრომლებს სთხოვენ თავიანთი და დამატებით სამი ან მეტი ადამიანის პირადობის მოწმობების ასლებს. ხშირ შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეებს არ უმარტავენ, თუ რისთვის არის საჭირო ეს ასლები (სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი არც ითხოვს ამგვარ განმარტებას), თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში ორაზროვნად აფრთხილებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ, შესაძლოა, გარკვეული სირთულეები შეექმნათ.

ჩოხატაურის რაიონიდან მოგვაწოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვაუჩერებისა და ფქვილის დარიგების დროს მოქალაქეებს მოსთხოვეს ოჯახის ყველა წევრის პირადობის მოწმობები და ჩაინიშნეს ყველა მათგანის მონაცემები; გურჯაანის რაიონში კაჭრეთის კოლეჯის მოსწავლეებს ოჯახის წევრების პირადობის მოწმობები მოსთხოვეს; ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რამდენიმე ქალაქსა და სოფელში ინდივიდუალურ მეწარმეებს ჩამოართვეს პირადობის მოწმობები და განუმარტეს, რომ მიმდინარეობს ინდივიდუალური მეწარმეების ხელახალი რეგისტრაცია; გორის რაიონის ორ სოფელში – ურბნისსა და კარალეთში – ფქვილის დარიგებისას მოქალაქეებს გამოართვეს პირადობის მოწმობები და ჯერ არ დაუბრუნებიათ (კარალეთში აღნიშნულ საქმიანობას სოფლის რწმუნებული, ზვიად ბერიანიძე ახორციელებდა); ცაგერში (სოფელი ზარაგულა) საუბნო კომისიის თავმჯდომარემ, არდევან კოპალიანმა მთელ სოფელს (50 ოჯახი) მიზეზის განმარტების გარეშე ჩამოართვა პირადობის მოწმობები. ამ მომენტისთვის ოჯახების ნაწილს მოწმობები დაუბრუნეს.

20 ნოემბერს პარლამენტის თავმჯდომარემ (ამჟამად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა) პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ თუ გარკვეული პირები სხვადასხვა სამსახურების თანამშრომლებს მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერის დასადასტურებლად სპეციალური ანკეტების შევსებას სთხოვენ, ეს მათი პირადი ინიციატივაა და არა ხელისუფლებიდან მიღებული ინსტრუქცია, რითაც ისინი პრეზიდენტისა თუ ხელისუფლებისადმი ზედმეტი ერთგულების დადასტურებას ცდილობენ. პარლამენტის თავმჯდომარემ იქვე დასძინა, რომ ასეთი თვითშემოქმედება კატეგორიულად უნდა აღიკვეთოს, რადგან მისი შედეგი მხოლოდ ადამიანების გაღიზიანება და უარყოფითად დამუხტვა იქნება. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში კვლავ ხდება ანკეტების შევსება და პირადობის მოწმობების ჩამორთმევა ან მათი მონაცემების შეგროვება. შესაბამისად, სასურველია, რომ ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა კიდევ ერთხელ საჯაროდ მიმართონ რეგიონებში ხელისუფლების წარმომადგენლებს და მოსთხოვონ მათ, ვინც ამ მონაცემებს აგროვებენ, რომ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ამგვარი ქმედება, მოქალაქეებს კი ურჩიონ, უარით უპასუხონ მსგავს მოთხოვნებს.

შეხვედრები ამომრჩევლებთან საჯარო მოხელეების ორგანიზებით და მონაწილეობით

ზოგიერთ რაიონში საჯარო მოხელეები, მათ შორის, საკრებულოების და გამგეობების წარმომადგენლები და თანამშრომლები, პოლიციის თანამშრომლები, მმართველი პარტიის პარტიული სიით გასული პარლამენტის ზოგიერთი დეპუტატი და სოფლის რწმუნებულები მართავენ შეხვედრებს საკრებულოებში, სკოლებში, ბაღებში, გამგეობებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში და მათ თანამშრომლებს აწვდიან მცდარ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ კენჭისყრა იქნება ღია, რომ ხელისუფლება შეძლებს იმის დადგენას, თუ ვის აძლევენ ხმას ცალკეული ამომრჩევლები და „აფრთხილებენ“ შეხვედრების მონაწილეებს, რომ ხმა მისცენ სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელს. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ საარჩევნო კაბინებში დაყენებული იქნება ფარული კამერები. ზოგ შემთხვევაში „უხსნიან“, რომ მარკირების საშუალებით შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, თუ ვის აძლევს ხმას ამომრჩეველი.

ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა კასპში, ქარელში, ამბროლაურში, ცაგერსა და ფოთში. კასპში შეხვედრებს მართავდა გამგეობის აპარატის უფროსი, მარინა მეტრეველი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ნონიკაშვილი; ქარელში – გამგებლის მოადგილე, ედვარდ ცხოვრებაშვილი; ცაგერში – დეპუტატი ვალერი გიორგობიანი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზურაბ

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.

ხეცურიანი და საკრებულოს აპარატის თანამშრომელი, გულვერ ბრეგვაძე; ფოთში – საკრებულოს წევრი დარეჯან სხვიტარია.

ვაუჩერების დარიგება და წინასაარჩევნო აგიტაცია

ელექტროენერგიის და შეშის ვაუჩერების დარიგების დროს ის პირები, რომლებიც ვაუჩერებს არიგებენ, პარალელურად სახელისუფლებო კანდიდატის სასარგებლოდ წინასაარჩევნო აგიტაციას ეწევიან. ისინი მოქალაქეებს ეკითხებიან, თუ ვისთვის აპირებენ ხმის მიცემას 5 იანვარს და სპეციალურ ფორმებში ინიშნავენ მათ განწყობებს. ზოგიერთი მათგანი კი მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერის სანაცვლოდ დამატებითი საჩუქრების დარიგების (ღვინის, საკვების, ფულის და ა.შ. სახით) დაპირებებსაც იძლევა.

საარჩევნო შტაბები

ბევრ რაიონში მმართველი პარტიის კანდიდატის საარჩევნო შტაბებს ხელმძღვანელობენ ან ამ შტაბებში აქტიურად მუშაობენ საჯარო მოხელეები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. ვინაიდან საარჩევნო კანონმდებლობით საჯარო მოსამსახურეებს სამსახურისგან თავისუფალ დროს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა არ ეკრძალებათ, საარჩევნო შტაბებში მუშაობით ისინი კანონს პირდაპირ არ არღვევენ, თუმცა არსებულ პირობებში საკმაოდ რთულია იმის გარკვევა, სამსახურიდან თავისუფალ დროს არიან ისინი შტაბების საქმიანობით დაკავებულები, თუ სამუშაო საათებში.

საარჩევნო შტაბების შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია ასეთია: თელავში მმართველი პარტიის კანდიდატის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე, ბაადურ გულიაშვილი (რომელსაც წინასაარჩევნო პერიოდში „კონსულტაციას უწევს და წინა არჩევნების დროს მიღებულ გამოცდილებას უზიარებს" გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე, გოჩა მამაცაშვილი. ეს განმარტება თავად გოჩა მამაცაშვილმა მისცა ჟურნალისტს.), ქუთაისში – მმართველი პარტიის პარტიული სიით გასული დეპუტატი გოჩა თევდორაძე, ოზურგეთში – პოლიციის უფროსი, გელენიძე, ცაგერში – მმართველი პარტიის სიით გასული დეპუტატი, ვალერი გიორგობიანი.

ხისტი რესურსები

პოლიტიკური ოპონენტებისა და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ ისეთი ძალადობრივი მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა ოპონენტების და მათი აქტივისტების დაშინება, დაკავება, დაპატიმრება, დარბევა და სხვ.

წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფლად წარმოებისთვის აუცილებელია, რომ საარჩევნო სუბიექტებს და მათ წარმომადგენლებსა და მხარდამჭერებს ჰქონდეთ უსაფრთხოების მყარი გარანტიები. ბოლო ორი კვირის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ არაერთი ცნობა იმის შესახებ, რომ ზოგიერთ ქალაქში, დაბასა და სოფელში ადგილი აქვს ოპოზიციის აქტივისტთა პოლიტიკური ნიშნით დევნას. ეს დევნა ძირითადად ორი სახისაა: (1) სამართალდამცავი ორგანოები ახდენენ იმ პირთა იდენტიფიცირებას, რომლებიც სხვადასხვა სახით მონაწილეობდნენ ნოემბრის აქციების ორგანიზება-ჩატარებაში და მათ წინააღმდეგ ატარებენ ისეთ ზომებს, როგორიცაა ჯარიმის დაკისრება ან თავისუფლების აღკვეთა (ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა თბილისში, ბათუმში, კასპში, გორში, ქარელში, თელავში, გურჯაანში, ქუთაისში, ხარაგაულში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ამბროლაურში, ცაგერში, ონში) ან (2) ოპოზიციის აქტიურ მხარდამჭერებს ემუქრებიან ფიზიკური ანგარიშსწორებით, სამსახურებიდან გათავისუფლებით და სხვა სახის პრობლემების შექმნით.

დღეის მდგომარეობით 7 ნოემბრის აქციის დაშლისას სამართალდამცავებისთვის გაწეული წინააღმდეგობისთვის პასუხისგებაში მიეცა რამდენიმე ასეული მოქალაქე, თუმცა საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის კანონდარღვევით მოქმედი სამართალდამცავის პასუხისგებაში მიცემის თუნდაც ერთი ფაქტი. იმისთვის, რომ მოქალაქეებმა აქციის მონაწილეთა დასჯა ოპოზიციურად განწყობილი პირების წინააღმდეგ განხორციელებულ აქტად არ აღიქვან და ამის გამო, პოლიტიკური აქტივობისგან (თუ ის ოპოზიციის მხარდამჭერია) თავის შეკავება არ არჩიონ, აუცილებელია, რომ შესაბამისად

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.

დაისაჯონ სამართალდამცავი სტრუქტურების ის წარმომადგენლებიც, რომელთა მხრიდანაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებულ სისასტიკეს და ძალის გამოყენების აშკარა გადამეტებას. ასეთი ფაქტები დაფიქსირებულია არაერთ ვიდეოჩანაწერსა და ფოტომასალაში და შესაბამის პირთა იდენტიფიცირება, ამ საკითხით დაინტერესების შემთხვევაში, რთული არ იქნება.

გარდა ამისა, ოპოზიციურ პარტიებს პრობლემები ექმნებათ პარტიისთვის საოფისე ფართის დაქირავებისას. უმეტეს შემთხვევაში, ოფისის ქირაობის შესახებ ორმხრივი შეთანხმების დადების შემდეგ ფართის მეპატრონეები, ხელისუფლების მხრიდან მათზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად, გადაწყვეტილებას ცვლიან.

ასეთი პრობლემები შეექმნათ გაერთიანებული ოპოზიციის და „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლებს: „ახალ მემარჯვენეებს“ უარი განუცხადეს ოფისის ქირაობაზე დიღმის მასივში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ შენობაში. სამ დღეში იგივე ფართი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ იქირავა. ბოლნისში „ახალი მემარჯვენეები” კერძო მესაკუთრეებს ფართის ქირაობაზე შეუთანხმდნენ, თუმცა ხელშეკრულების გასაფორმებლად მისულებს მესაკუთრეებმა შეატყობინეს, რომ ფართს ვეღარ მიაქირავებდნენ, რადგან მათზე გახორციელდა ზეწოლა ხელისუფლების მხრიდან. ამბროლაურში ”რესპუბლიკური პარტიის” ოფისის მეპატრონის, ეთერ ფოფხაძის ვაჟს პარტიისთვის იჯარით გაცემული ოფისის დაცლა ამბროლაურის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შალვა ჩიკვილაძემ მოსთხოვა. ონში ”რესპუბლიკური პარტიის” საარჩევნო შტაბის უფროსს, გოგიტა გამყრელიძეს რაიონის პოლიციის უფროსმა მიაკითხა და გამგეობაში წაიყვანა, სადაც მას შეხვდნენ გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე და ოფისის დახურვა მოსთხოვეს.

გურჯაანში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ პოლიტიკურ პარტიებთან, ჟურნალისტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის შემდეგ სარემონტო სამუშაოების განხორციელების საბაბით დაიხურა დეპუტატ ნიკოლოზ კვეზერელის ბიურო. ბიუროს დახურვა იმდენად სწრაფად მოხდა, რომ თანამშრომლებმა ოფისის დაცლაც ვერ მოასწრეს. რაიონის გამგებელმა, რამაზ ქერეჯაშვილმა ბიუროს უფროსს შემჩნევა მისცა ბიუროს ოთახში ოპოზიციური პარტიების შეკრების გამო და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქარველოს“ საქმიანობა ხელისუფლების საწინააღმდეგო ქმედებებად შეაფასა. აღსანიშნავია, რომ ბიუროში სარემონტო სამუშაოები თვენახევრის წინ – 2007 წლის ოქტომბერში განხორციელდა. იმავე დღეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ რეგიონულ კოორდინატორს კახეთში, ალექსი ცუკილაშვილს უშიშროების წარმომადგენელი, პაატა ხაჩიშვილი ესტუმრა და გამოჰკითხა, თუ რა საქმიანობას ეწევა ორგანიზაცია არჩევნებთან დაკავშირებით და რა შეხვედები ჩატარდა გურჯაანსა და თელავში.

მონიტორინგის შემდეგი ეტაპები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების მონიტორინგს მომავალშიც განაგრძობს. წინასაარჩევნო პერიოდში ორგანიზაცია მოამზადებს და გაავრცელებს პერიოდულ ანგარიშებს მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი დარღვევებისა და ხარვეზების შესახებ, არჩევნების დასრულების შემდეგ კი ყველა ამ დარღვევასა და ხარვეზს საბოლოო ანგარიშში ასახავს.

მომდევნო პრესკონფერენციაზე, სხვა ინფორმაციასთან ერთად, ”საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო” გამოაქვეყნებს მედია მონიტორინგის შედეგებსაც. მედია მონიტორინგის ფარგლებში გაკეთდება იმის ანალიზი, ხდება თუ არა მედია საშუალებების მიერ საარჩევნო კოდექსით დაწესებული მოთხოვნების დაცვა და, ასევე, რამდენად მიუკერძოებელია მედია სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიების გაშუქებისას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მონიტორინგი მოიცავს ცენტრალურ ტელევიზიებს და გაზეთებს.

გარდა ამისა, ორგანიზაციის სათავო ოფისში ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა), დილის 10-დან საღამოს 6 საათამდე, ფუნქციონირებს უფასო ცხელი ხაზი (822 009 888), რომელზე დარეკვაც შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, ვისაც ექნება სურვილი, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიაწოდოს ინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირებული დარღვევების,

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.

კერძოდ, ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების შესახებ და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია ამ საკითხის გარშემო. ორგანიზაცია გადაამოწმებს ცხელი ხაზით მიღებულ ინფორმაციას და დადასტურების შემთხვევაში, გამოვლენილ დარღვევებს ასახავს წინასაარჩევნო და საბოლოო ანგარიშებში.

მონიტორინგი ხორციელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
ეს ანგარიში მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ და ის არ გამოხატავს ევროპის კავშირის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფიციალურ პოზიციას.